ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

50

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირია
საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 8 (264). გამოდის თვეში 15-ჯერ
1971 წლის 23 აპრილი

ერევანში, ბაქოში, მოსკოვში...

ჩვენს დიად დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს — მთელი საბჭოეთი ზეიმობს.

ყველგან ყვავილები, მეგობრების გულღია შეხვედრა, სიყვარულით გამთბარი სიტყვები. დიახ, ყოველი ხალხის ცხოვრებაში არის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი დღეები, რომლებიც სამახსოვრო ნიშანსვეტად იქცევა ისტორიის გზაზე. ასეთი სასიხარულო, ამაღელვებელი, ღრმა შინაარსით აღსავსე დღეები აქვთ ახლა საქართველოს მშრომელებს და ერთი ძმის ზეიმს მეორე ვით არ გაიზიარებს — რუსს, სომეხს, უკრაინელს, აზერბაიჯანელს...

ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ურღვევი მეგობრობის, ძმობის დემონსტრაციის ჰიმნი იყო ამ დღეებში ერევანსა და ბაქოში გამართული საქართველოს დღეები, რომელიც 12 აპრილს დაიწყო და 5 დღეს გასტანა. საქმე, რომელსაც სიცოცხლე შესწირეს სტეფანე შაუმიანმა, მეშადი აზიზბეკოვმა, ალიოშა ჯაფარიძემ, ივანე ფიოლეტოვმა დღეს დიდებულ ზეიმს იხდისო, — ეს სიტყვები დედააზრად გასდევდა სტუმარ-მასპინძლების შეხვედრას.

საბჭოთა ადამიანების ურღვევი ძმობა კიდევ ერთხელ დიადი ძალით გამოვლინდა ამ დღეებში მოსკოვში. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა დიდი საზეიმო საღამო, რომელიც ქართველი ერის ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა.

ერევანში, ბაქოსა და მოსკოვში ჩვენი რესპუბლიკის მსახიობებმა გამართეს კონცერტები. როგორც პრესა აღნიშნავს, სტუმართა უბადლო ოსტატობამ ათასობით თაყვანისმცემელი შესძინა ქართულ ხელოვნებას. საზეიმო დღეებში ქართველი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები გამოდიან მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა წინაშე, აცნობენ მათ საქართველოს მიღწევებს განვლილი ორმოცდაათი წლის მანძილზე.

ზეიმი გრძელდება. სულ მალე კი ჩვენი რესპუბლიკა თვითონ იქნება იუბილეზე ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრის მასპინძელი...

კომუნისტთა შმაღლეს ფორშმგე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

9 აპრილს სკკპ XXIV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო და დადგინილებები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებებისა და სსრკ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების დამტკიცების თაობაზე.

ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური ორგანოები. ყრილობის დელეგატები მჭიდროდ, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების ერთსულოვანი არჩევის შესახებ.

პლენუმზე, რომელიც ერთიანობისა და შეკავშირების ატმოსფეროში ჩატარდა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აირჩია თავისი ხელმძღვანელი ორგანოები — ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და სხვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულია **ლ. ი. ბრეჟნევი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ა. კუნაევი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ვ. ვ. შჩერბიცკი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: **ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები: **ლ. ი. ბრეჟნევი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, **პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი.**

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცა ამხანაგი **ა. ი. პელშე.**

სკკპ ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ თავის თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი **გ. თ. სიზოვი.**

ყრილობის დასკვნით სხდომაზე ამხანაგმა **ლეონიდ ბრეჟნევმა** წარმოთქვა საბოლოო სიტყვა, რომელიც ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს.

ამხანაგი ლეონიდ ბრეჟნევი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას დახურულად აცხადებს.

დელეგატები და სტუმრები დიდი აღფრთოვანებით ასრულებენ პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

აშენდა,

ᲠᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ დაამშვენა კიდევ ერთმა შესანიშნავმა ნაგებობამ — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზმა. თბილისელებმა სვეტებიან, მინითა და ბეტონით ნაგებ ამ თანამედროვე ჰაეროვან შენობას ხელოვნების, მუსიკის სასახლე უწოდეს. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის დღესასწაულის წინ რესპუბლიკის მშრომელებმა მართლაც შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. იგი დიდ როლს შეასრულებს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, მუსიკალური და საშემსრულებლო ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.

შენობა ალიმართა ქალაქის ცენტრში — ვერაზე და მოხერხებულად უკავშირდება ყველა რაიონს.

ამ უნიკალური შენობის პროექტის ავტორის ივანე ჩხენკელის სიტყვით, ადგილმდებარეობამ გარკვეული გავლენა იქონია შენობის მოცულობითს და სივრცითს კომპოზიციაზე. ქუჩების ნიშნულების გამო შეიქმნა ასიმეტრიულად განლაგებული განიერი, საზეიმო კიბე, რომელიც შემდგომ დამთავრდება შენობის მიმართ ასევე ასიმეტრიულად დადგმული ფიგურით ხელოვნების თემაზე.

შენობაში არის ორი დარბაზი. ერთი — 2.500, ხოლო მეორე 650 კაცს იტევს. დიდი დარბაზი უნივერსალური დანიშნულებისაა. იქ შეიძლება გაიმართოს კონცერტები და თეატრალიზებული დადგმები გაფორმების თანამედროვე საშუალების გამოყენებით. აქვე შეიძლება



დამშვენდა...

მოეწყოს ჩვეულებრივი, ფართოეკრანიანი და პოლიეკრანული ფილმების ჩვენება შესაფერისი გახმოვანებით. დარბაზში გაიმართება სიმპოზიუმები, კონფერენციები, ყრილობები.

ვესტიბიულის ინტერიერი მხატვრულად გააფორმეს ელგუჯა და მერაბ ბერძენიშვილებმა. 8 მეტრი სიმაღლის დეკორაციული ქანდაკება, რომელიც დაიდგმება შენობის წინ, შესრულებულია მერაბ ბერძენიშვილის მიერ. დარბაზში შექმნილია საუკეთესო აკუსტიკური პირობები. საორკესტრო ორმო მოძრავია, იგი შეგვიძლია დავაყენოთ როგორც სცენის პლანშეტის, ისე პარტერის იატაკის დონეზე. დარბაზში მოწყობილია რ ენაზე თარგმნის სინქრონული სისტემა. თარგმანს ისმენთ კომპუტატორების მეოხებით, რომლებიც მოთავსებულია სავარძლების სახელურებში.

მცირე დარბაზი მოთავსებულია დიდი დარბაზის სცენის ქვემოთ. იგი დიდი დარბაზისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს.


დიდი დარბაზის ფოიეს თავზე, უკანასკნელ სართულზე მოთავსებულია კაფე-ბარი.

შენობის ყველა ძირითადი სათავსი — ვესტიბიული, ფოიე და დარბაზები აგრეთვე კაფე-ბარი უზრუნველყოფილია კონდიცირებული ჰაერით.

მაშ ახლა, ჩვენს დედაქალაქში კიდევ ერთი კარგი სახლი აშენდა, ჰაღარა თბილისი კიდევ უფრო დამშვენდა...

სურათზე: მუსიკის სასახლე.

სიმონ კილაძის ფოტო



თბილისს კიდევ ერთი, მეტად ლამაზი მრავალსართულიანი შენობა შეემატა — საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირი — ვკითხულობთ ამ ნატიფად ნაგები სახლის შესასვლელთან და მარმარილოს კიბეს შივყვებით...

სიმართლე გითხრათ, დღემდე არც კი ვიცოდი, თუ ცეკავშირი — ორგანიზაცია, რომლის შესახებაც ამ წერილში მინდა მოგითხროთ, ასეთ დიდ სახელს ატარებდა. თუმცა ეს უმნიშვნელო „აღმოჩენა“ რა მოსატანია იმ სიურპრიზთან, მასპინძლებმა რომ შემომთავაზეს. მათი საქმიანობის მასშტაბების სიდიდემ და მრავალფეროვნებამ ერთი პირობა დამაბნია კიდეც, მაგრამ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ნიკოლოზ ჯაფარიძისა და მისი მოადგილის ნოდარ ქებაძის დახმარებით ყველაფერს ეშველა და განცდილი და ნანახი ქაღალდზე გადავიტანე...

□

მომხმარებელთა საზოგადოების შექმნის პრიორიტეტი ინგლისელებს ეკუთვნით. მისი დაარსების ოფიციალურ თარიღად 1844 წელია მიჩნეული. ახლად შექმნილი საზოგადოება ქალაქსა და სოფელს შორის საქონელგაცვლის მოხერხებული ფორმა აღმოჩნდა და, რაღა თქმა უნდა, კარგს, ყველასათვის ხელსაყრელს, მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. გავიდა ოთხი წელიწადი და მომხმარებელთა საზოგადოება საფრანგეთშიც შეიქმნა, 1853 წელს — გერმანიაში, ხოლო 1864 წელს — რუსეთში.

საქართველოში მომხმარებელთა საზოგადოების — კოოპერატივის პირველი დამაარსებელი მუშები იყვნენ. — „მომჭირნეობა“ ასე უწოდეს მათ თავიანთ საზოგადოებას, რომელიც 1869 წელს ჩამოყალიბდა თბილისში. თბილისელებს საგარეჯოს და თიანეთის მცხოვრებლებმაც აუბეს მხარი. თავკაცობას, როგორც წესი, მშრომელთა ჭირ-ვარამით დაინტერესებული ადამიანები კისრულობდნენ. მაგალითად, საგარეჯოში მომხმარებელთა საზოგადოება ალექსანდრე ცხვედაძის ინიციატივით დაარსდა, ხოლო სოფელ მაჩხაანში მწერალი დავით ნადარეიშვილი-მაჩხანელი უძღვებოდა ამ საქმეს.

იყო წლები, როდესაც საქართველოს კოოპერატორებს ძალზე გაუჭირდათ და გაკოტრება ელოდათ. თუ 1919 წელს მათი საბრუნავი თანხა 967 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, 1920 წლისათვის იგი 650 გირვანქა სტერლინგამდე დავიდა, ხოლო 1921 წლის პირველი იანვრისათვის ქართველ კოოპერატორთა განკარგულებაში სულ რაღაც 160 გირვანქა სტერლინგი იყო...

იმის გასარკვევად, თუ როგორ განვითარდა სამომხმარებლო კოოპერაცია ჩვენს დროში, როგორია მისი ახლანდელი შინაარსი, საერთაშორისო ავტორიტეტი, მომავლის გეგმები, რამდენიმე კითხვით მივმართეთ საქართველოს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ჯაფარიძეს.

● პატივცემულო ნიკოლოზ, გთხოვთ დაგვიხასიათოთ დღევანდელი სამომხმარებლო კოოპერაციული კავშირი.

ვიდრე ცეკავშირის დღევანდელ დღეზე ვიტყოდეთ რამეს, მინდა ორიოდე სიტყვით მის წარსულზეც მოგახსენოთ. სამომხმარებლო კოოპერაცია, როგორც გამანაწილებელი აპარატი, მემკვიდრეობით მივიღეთ კაპიტალისტური საზოგადოებისაგან. რა თქმა უნდა, საბჭოთა წყობილების პირობებში მისი დანიშნულება და შინაარსი მთლიანად შეიცვალა. „სოციალიზმი, — აღნიშნავდა ლენინი, შეუძლებელი იქნებოდა, თუ იგი არ ისწავლიდა იმ ტექნიკის, იმ კულტურის, იმ აპარატის გამოყენებას, რომელიც შექმნა კაპიტალიზმის კულტურამ. ამ აპარატთა რიცხვს ეკუთვნის კოოპერაცია“. და აი კოოპერაციაც, სოფელსა და ქალაქს შორის საქონლის გაცვლის ათეული წლობით დამკვიდრებული ფორმა, ჩადგა ხალხის სამსახურში. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი დღეებიდანვე უანგარო დახმარება გაუწია კოოპერატივებს. საქართველოს კოოპერატორებმა უსასყიდლოდ მიიღეს 100 ათასი მანეთის მანუფაქტურა, ხოლო სესხად 57 ათასი მანეთი ოქროთი. გარდა ამისა, საქართველოს ცეკავშირის გამგეობას გადაეცა გემი, რომლის ღირებულება 30 ათას მანეთს შეადგენდა. გემს „საქართველოს კოოპერაცია“ ეწოდა.

ამჟამად საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებაში მილიონ ორასი ათასი კაცია გაერთიანებული. მეპაიეები, როგორც ჩვენ კოოპერაციის წევრებს ვუწოდებთ, აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი საზოგადოების საქმიანობაში — სამომხმარებლო კოოპერაცია ხომ პირველ რიგში მშრომელთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს სავაჭრო-სამეურნეო საქმის კოლექტიურ მართვას აჩვევს და აი ამ ადამიანთა ერთობლივი ზრუნვითა და მონდომებით





ცეკავშირი

ცეკავშირი იმ მძლავრ ორგანიზაციად იქცა, რომელსაც საგრძნობი წვლილი შეაქვს მშრომელთა ბედნიერებაში. არც ისე შორეულ წარსულში ჩვენი ვაჭრობის ძირითადი სავანი იყო ნავთი, მარილი, საპონი, ასანთი... ახლა ჩვენ ვვაჭრობთ მსუბუქი მანქანებით, ტელევიზორებით, ავეჯით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით. სოფლის ცხოვრების დონის დღევანდელობა გვავალებს, კოლმეურნე გლეხობას მივაწოდოთ მაღალხარისხოვანი საქონელი. კაცმა რომ თქვას, ჩვენი პრაქტიკიდან კარგა ხანია წაიშალა გამოთქმა — ეს სოფლის საქონელია, ეს კი ქალაქისაო. მოვიყვან რამდენსამე ციფრს: ამჟამად სოფლად ცეკავშირს აქვს 10 სავაჭრო ცენტრი, 140 უნივერმაღი, 1.220 სასურსათო მაღაზია. მთელი საქართველო, მისი მნიშვნელოვანი გზები, ტურისტული ტრასები, რაიონული ცენტრები თუ სოფლები დაფარულია ჩვენს მიერ აშენებული პირველი კლასის რესტორნებით, კაფეებით, სასაუზმეებით. მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში ავაშენეთ საზოგადოებრივი კვების 635 ობიექტი.

ცეკავშირის სისტემაში დღეისათვის შედის 1.297 სამრეწველო საწარმო, მათ შორის პურის 971 საცხობი, 88 უალკოჰოლო სასმელების საამქრო, 9 საკონსერვო ქარხანა, ლუდის 2 ქარხანა, 22 სამკერვალო, 36 სამშენებლო მასალების საწარმო და სხვა. ცეკავშირს აქვს საკუთარი ავტომეურნეობა 2.400 ავტომანქანით, ავტომშემკეთებელი ქარხანა.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 75 მილიონი მანეთი, მწყობრში ჩადგა 1.400 ახალი ობიექტი. და კიდევ ერთი ციფრი — უკანასკნელ ხუთ წელიწადში ცეკავშირის ფაქტიურმა მოგებამ 142 მილიონი მანეთი შეადგინა.

● საინტერესოა ვიცოდეთ, რას აძლევს ცეკავშირი მეპაიეებს?

მომხმარებელთა საზოგადოების წესდების თანახმად, მეპაიე მოგებიდან იღებს დანარიცხს 2-დან 20 პროცენტამდე. მეპაიეებს ემსახურება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, საბავშვო ბაღები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები...

მეპაიეები და მათი შვილები სწავლობენ თბილისისა და ქუთაისის კოოპერაციულ ტექნიკუმებში, მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

რომელია ცეკავშირის ყველაზე ძლიერი დღე?

ყველაფერი ადამიანის ბედნიერებისათვის! — პარტიის XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული ეს დევიზი ცეკავშირს ძალზე ეხება. ყველაფერს ვაკეთებთ ადამიანთა შრომის შესამსუბუქებლად, მივაწვდით კერძებს მინდვრის მშრომელებს, მაღაზიებს მოვამარაგებთ მაღალხარისხოვანი საქონლით. ყოველწლიურად თითო მოსახლეს მივყიდით 700-800 მანეთის საქონელს, დავნერგავთ ვაჭრობის პროგრესულ მეთოდებს. მინდა ერთი მეტად საგულისხმო ციფრიც გაგაცნოთ. თითო სულ მოსახლეზე გამოვაცხობთ 350 გრამ პურს — ეს იქნება ყველაზე მაღალი დონე საბჭოთა კავშირში. ასე, რომ ჩვენი სოფლის ქალები მალე მთლიანად განთავისუფლდებიან პურის ცხობის მძიმე შრომისაგან.

საქონელბრუნვა მომავალ ხუთწლედში გაიზრდება 150 პროცენტით, აშენდება 1.000 ახალი მაღაზია, 640 რესტორანი, კაფე და სასადილო. მოგების თანხა ხუთწლედის ბოლოსათვის 225 მილიონ მანეთს მიაღწევს.

● რას გვეტყვით ცეკავშირის საერთაშორისო ურთიერთობაზე?

ცეკავშირი საკმაოდ გაცხოველებულ საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობას ეწევა. დღითიდღე ვითარდება უცხოეთის სამომხმარებლო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, იზრდება ექსპორტ-იმპორტი. ამჟამად ჩაის, ღვინოს, კონიაკს, შამპანურს, თხილს, ასკილს, არასტანდარტულ ტყავს და სხვა საქონელს ვგზავნით ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, უნგრეთში, იტალიაში, დასავლეთ გერმანიაში, იაპონიაში, დანიაში და სხვა ქვეყნებში, სამაგიეროდ შემოგვაქვს ავეჯი, ტრიკოტაჟი, შეკერილი ტანსაცმელი...

ძალიან ხშირად ჩამოდიან ჩვენთან უცხოეთის ქვეყნების კოოპერატორები. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. შინ დაბრუნებულნი, როგორც წესი თბილად იგონებენ მზიურ საქართველოს.

„საქართველოში მოგზაურობის დროს მე დავინახე ამ მზიური მხარის უსაზღვრო სტუმართმოყვარეობა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენი რესპუბლიკის კოოპერაციის საქმიანობის გაცნობისათვის. პატივისცემით — ორიზეტი, შვეიცარიის კოოპერატივის შეფი სოციალური ინსტიტუტის განვითარების დეპარტამენტში“.

„საქართველოსთან შეხვედრის შემდეგ კიდევ მეტი სტიმული მოგვცა ცეკავშირისა და იტალიის კოოპერაციათა ეროვნულ ლიგას შორის კავშირის განსამტკიცებლად. იტალიის კოოპერატორთა ლიგის პრეზიდენტი სილვიო მიანო“.

„თქვენი სამშობლო ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა მსოფლიოში. ლამბერი — ბელგიის კოოპერაციის გენერალური გაერთიანების პრეზიდენტი“.

საფრანგეთის კოოპერატორთა წარმომადგენელმა ბატონმა პირშუელდიმ კი კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა — სავაჭრო მაღაზიები, რომლებიც საქართველოს სოფლებში ვნახე, დიდ ქალაქებსაც კი დაამშვენებს.

რაც შეეხება ძალზე ვრცელ წერილს, რომელიც ისლანდიის კოოპერატორთა ფედერაციის გამგეობის პრეზიდენტმა ბატონმა მრლენდურ ვინარსსონმა ისლანდიის ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა, ასე მთავრდება — „ძნელია გამოიძებნოს სიტყვები, რომ სრულყოფილად აღწერო საქართველოს სილამაზე, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა, ეს მზიური მხარე საკუთარი თვალით უნდა ნახო...“ და ჩვენც ჩვენი სიკეთის ნახვის შესაძლებლობას ხშირად ვაძლევთ საზღვარგარეთელ კოოპერატორებს. ასევე ხშირად მივდივართ მათთან. უკანასკნელ წლებში ქართველ კოოპერატორთა წარმომადგენლები იყვნენ ინგლისში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში...


● და ბოლო კითხვა: რას გვეტყვით კოოპერატორთა საერთაშორისო ორგანიზაცია ალიანსზე, რომლის ცენტრალური კომიტეტის წევრიც თქვენ ბრძანდებით?

ამჟამად ალიანსის შემადგენლობაში, რომელიც 1895 წელს დაარსდა, გაერთიანებული არიან 45 სახელმწიფოს კოოპერატორები. ალიანსი მოწოდებულია კაპიტალისტური შემოტევისაგან დაიცვას მუშათა, გლეხთა, წვრილ მრეწველთა ინტერესები. ალიანსი იხილავს კოოპერატორთა წინაშე წამოჭრილ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხს და გამოაქვს დადგენილებები. ალიანსი ხშირად მართავს სემინარს. ერთ-ერთი ასეთი სემინარი მოეწყო საქართველოში. 1968 წლის 5 ოქტომბერს ჩვენს დედაქალაქს ეწვივნენ 21 სახელმწიფოს კოოპერატორები. სემინარის თემა გახლდათ „კოოპერაციის როლი და ადგილი სოფლის რაიონების ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში“.

საქართველოში საერთაშორისო სემინარის მოწყობის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ ნათქვამს — ქართველი კოოპერატორები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მთელ მსოფლიოში. ყველა თვალნათლივ ხედავს, რომ მათი საქმიანობა მიმართულია ადამიანთა ბედნიერებისაკენ.

საუბარი ჩაიწერა

რევაზ მაჭავარიანმა








სურათებზე: ზევით — ცეკავშირის ახალი შენობა; ნიკოლოზ ჯავახიძე; უცხოელი კოოპერატორები საქართველოში. ქვევით, მარცხნიდან — მცხეთა, რესტორანი „საჭაშნიკე“; გურჯაანი, სოფელ ჩალაუბნის რესტორანი „ნაკადული“; მანგლისის სავაჭრო ცენტრი.

შაბათს, 17 აპრილს, დამწუხრებულმა თბილისმა სამუდამოდ გააცილა და მთაწმინდის პანთეონს მიაბარა დიდი მსახიობი, სცენის შემუდარებელი ოსტატი სერგო ზაქარიაძე.

წინა დღით კი ყვავილებითა და გვირგვინებით შემკული ღირსეული მამულიშვილის კუბო რუსთაველის სახელობის თეატრში დაასვენეს. აქ მოდიოდნენ მისი თაყვანისმცემლები — მუშები, მოსამსახურეები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ქალაქებისა და სოფლის შრომელთა წარმომადგენლები, სტუდენტები მოძმე რესპუბლიკებიდან... ისინი სამუდამოდ ეთხოვებოდნენ საყვარელ მსახიობს.

გამოსათხოვარი სიტყვები თქვეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გურამ საღარაძემ, საქართველოს კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა, „ქართული ფილმის“ სტუდიის დირექტორმა აკაკი ქიქიგურმა, პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანმა შოთა ვერულაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა გესარიონ ჭღენტმა, გერგანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მდივანმა საბჭოთა კავშირში ლემანმა, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა და სხვებმა.



სერგო ალექსანდრესძე ზაქარიაძე

მსახიობი

„დიდ ხელოვანთან ერთად პატარა ნიჭიც საკმარისია იმისათვის, რომ ღირებული რამ შექმნას ადამიანმა“, — ასე მორიდებულად იტყოდა ხოლმე ქართული სცენის მშვენება და ჩვენი სიამაყე სერგო ზაქარიაძე, რა ითქმის მაშინ მასზედაც, რომელიც მართლაც რომ განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, მაგრამ ამასთანავე უზომოდ იყო დაჯილდოებული იმ უმაღლესი ნიჭიერებით, რომელიც გენიალობის მიჯნაზეა?

სერგოს ბავშვობიდანვე შეუყვარდა თეატრი და უკვე ჭაბუკობაში მიაგნო, როგორც ჩანს, ინტუიციით იმ საიდუმლოებას, რომელსაც სასცენო ხელოვნებაში ეწოდება გარდასახვა. გარემო სინამდვილის ნათლად აღქმამ და მეტადრე ადამიანის სულიერ მოძრაობათა გარეგნულ გამოვლენაზე დაკვირვებებმა გაუმდიდრეს ჭაბუკ სერგოს გონებრივი თვალსაწიერი და ჩაუნერგეს გარდასახვისადმი მიდრეკილება, რაც ასე ბრწყინვალედ განახორციელა თავის შემოქმედებაში.

საკმაოდ ხშირად მჭონია სერგოსთან საუბარი სასცენო ხელოვნებისა და დრამატურგიული ლიტერატურის შესახებ (იმ წლებში მე უნივერსიტეტში ვკითხულობდი დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კურსს) და ჭეშმარიტად გაოცებული ვრჩებოდი სერგოს ნაკითხობის სიფართოვით როგორც მხატვრულ, ისე კრიტიკულ ლიტერატურაში. მახსოვს, მაგალითად, რომ სერგო ზაქარიაძემ კარგად იცოდა იმ დიდი კამათის ვითარება, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენში და უცხოეთში იმის შესახებ, იყო თუ არა შექსპირი გენიალური დრამების ავტორი. ყოველ შემთხვევაში, იგი იცნობდა ამის შესახებ რუსულ ენაზე გამოსულ კრიტიკულ ლიტერატურას მთლიანად.

სერგო ზაქარიაძის აზრი იყო: მსახიობი უნდა ქმნიდეს სცენაზე იმ პიროვნების „ახალ სიცოცხლეს“, რომელსაც იგი ასახიერებს („თამაშობს“); მსახიობი უნდა ქმნიდეს იმდენ „ახალ სიცოცხლეს“, რამდენ როლსაც იგი ასრულებს. აქ არის მსახიობის დიდი და ხანგრძლივი შრომის საგანი, სადაც სერგო ზაქარიაძე ეწეოდა გოლიათურ მუშაობას იმის მეოხებით, თუ როგორ აღიქვა მან გარემო სინამდვილე, თუ რა დაკვირვებები დაუგროვდა ადამიანის სულიერ მოძრაობათა გარეგნულ გამოვლენაზე და თუ რა შესძინა მას დიდი ლიტერატურის გაცნობამ...

სერგო ზაქარიაძემ ზედმიწევნით კარგად იცოდა სიტყვის როგორც „გამაცოცხლებელი“, ისე „მომაკვდინებელი“ მოქმედება; იგი ფლობდა სიტყვის წარმოთქმის მრავალფეროვნებას და სათანადოდ იყენებდა მას გარკვეული მიზნის მისაღწევად. მისი მტკიცე და გასაოცრად შთამბეჭდავი წარმოთქმა ხიბლავდა მსმენელს.

ძნელია გამოირჩეოდეს მსახიობი ისეთი შესანიშნავი ოსტატებისაგან, როგორიც გვყავდა წარსულში (ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ნუცა ჩხეიძე, უშანგი ჩხეიძე) და გვყავს დღესაც (აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე...). მაგრამ სერგო ზაქარიაძემ გადალახა ეს სიძნელე და ბრწყინვალედ გამოჩნდა საქართველოს გარეთაც, საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში; ამით მან ასახელა ქართველი ერი.

ამიტომაც არის დღეს ქართველი ხალხი ეგზომ დამწუხრებული უბადლო მსახიობის დაკარგვით, რაც კარგად გამოთქვა დოდო ანთაძემ: ვაი, რა ბოძი წაგვექცაო.

ამიტომავეა, რომ ქართველმა ხალხმა სერგო ზაქარიაძეს საუკუნო ადგილი მიუჩინა იქ, სადაც განისვენებენ დიდი ილია და დიდი აკაკი — მთაწმინდის პანთეონზე.

გიორგი ახვლედიანი,
აკადემიკოსი

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სერგო ზაქარიაძე; კადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“; სამგლოვიარო პროცესია რუსთაველის გამზირზე



სწორუპოვარი

ეს მოხდა ამ ზამთარში. ფინეთში ვიყავი საბჭოთა კინემატოგრაფისტთა დელეგაციის შემადგენლობაში. იმ დღეს ქართული ფილმების საღამო იყო. ვანვენეთ „ღიმილის ბიჭები“ და „სერენადა“. მერე პრესკონფერენცია, შეხვედრები... მოგვიანებით მე და ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატი, კინომცოდნე ლეონიდ კოზლოვი ჰელსინკის ქუჩებში ვსეირნობდით და ქართულ კინოზე ვსაუბრობდით. რა თქმა უნდა, გაიხსენეთ სერგო ზაქარიაძე — ჯარისკაცის მამა, რომელიც აქაც, ფინეთში, პირზე ეკერა დიდხა თუ პატარას.


ბევრი საინტერესო ამბავი ჩემი თვალით მინახავს და ბევრიც გამიგონია იმ სიყვარულზე, რაც სერგო ზაქარიაძემ დაიმსახურა ხალხში საერთოდ, და განსაკუთრებით, მახარაშვილის სახის შექმნით. და, კაცმა რომ თქვას, რა უნდა ეთქვა ლეონიდ კოზლოვს ისეთი, რაც გამაკვირვებდა და გამახარებდა. მან კი აი რა მიამბო იმ დღეს:

— მოსკოვში, ნეგლინაიას ქუჩაზე სახელმწიფო ბანკის შენობის წინ ვზოგ. ეზოში ორი დიდი ტირიფი დგას. ლამაზი და ამაყია ეს ხეები! მე და ჩემმა მეუღლემ ერთ ხეს ერნსტ ჰემინგუეი დავარქვით, შეორეს კი სერგო ზაქარიაძე. ორივე ეს ხე ისევე ძლიერი და ბუმბერაზია, როგორც ჰემინგუეი და ზაქარიაძე! ძალიან ხშირად მე და ჩემი მეუღლე, — მითხრა კოზლოვმა, — მივდივართ ამ ხეებთან, რომ ვიგრძნოთ სიდიადე შემოქმედისა, ადამიანებს სიცოცხლის დიად ძალას რომ უნერგავენ, რომლებსაც ამ ხეებსავით მიწაში ღრმად აქვთ ფესვები გადგმული და რომელთა წვეროდან თუ გადმოიხედავს კაცი, გამოჩნდება მთელი სამყარო — დიდი და ულამაზესი!

მართლაც, სერგო ზაქარიაძე ეს დიდი და ძლიერი ხე იყო, ამოსული ქართულ მიწაზე, რომელიც თავისი ცხოველმყოფელი ნიჭით მთლიანად ჩვენი ხალხის სიხარულით თუ ჭირ-ვარამით საზრდოობდა...

რეზო ჩხეიძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კინო-ფილმ „ჯარისკაცის მამის“ დამდგმელი რეჟისორი





უმაღლესი მაღალი

დღითიდღე იზრდება ქართული უნივერსიტეტი, ემატება მრავალსართულიანი კორპუსები, მდიდარი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები. ღირსეულად ეწევიან ეროვნული მეცნიერების ჭაპანს ამავე ტაძრის აღზრდილები და მათი დამსახურებაა, რომ დღეს თბილისის უნივერსიტეტის სახელი გავიდა შორს, ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გადაღმა, რომ აქ ათეულობით უცხოელი ჩამოდის სასწავლებლად, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად...

უნივერსიტეტის სამეცნიერო ურთიერთობას უცხოეთთან აწესრიგებს სპეციალური განყოფილება, რომელიც ამ სამი წლის წინათ შეიქმნა.

ქართველი მეცნიერები, მათ შორის აკადემიკოსი ილია ვეკუა, პროფესორები გიორგი ჭოლოშვილი, თამაზ გამყრელიძე, კოტე წერეთელი და სხვები გამოდიან ლექციებით იტალიასა და გერმანიაში, ინდოეთსა და შვეიცარიაში, ჰოლანდიასა და ერაყში, საფრანგეთსა და ამერიკაში...

უკვე მესამე წელიწადია სტრასბურგის უნივერსიტეტში „ქართული ცივილიზაციის ისტორიის“ კურსს კითხულობს დოცენტი ალექსანდრე ალექსიძე. ორ წელიწადს კითხულობდა ლექციებს იენის უნივერსიტეტში გურამ რამიშვილი და იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ბევრი ქართველი სტუდენტი სადიპლომო პრაქტიკას გადის ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, გერმანიაში...

უცხოელებიც სწავლობენ ქართული მეცნიერების ტაძარში. ისინი ჩამოდიან არაბეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან... მათთვისაც ისევე ძვირფასია აქაურობა, როგორც ჩვენთვის, მათაც ისევე უყვართ ვარაზის პირას მდგომი თეთრი სახლი, როგორც ჩვენ, მათაც ჩვენსავით ყველაფერი იციან თბილისის უნივერსიტეტის შესახებ, სწამთ მისი კეთილი ძალისა, შემატკივრობენ ჭადრისა, უნივერსიტეტის წმინდა მიწას მიბარებული ჩვენი წინაპრებისა, რომლებმაც დღევანდლამდე მოიყვანეს ქართული მეცნიერება.

საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს ხელმძღვანელობენ ჩვენი თვალსაჩინო მეცნიერები ევგენი ხარაძე და თინათინ მრევლიშვილი, ელეფთერ ანდრონიკაშვილი და სერგო ჯორბენაძე, თეიმურაზ კოპალეიშვილი და სხვანი მრავალნი.

გავესაუბროთ ზოგიერთ მათგანს.

ლაურა ვინოგრადი, საფრანგეთიდან. — ვსწავლობ სორბონის უნივერსიტეტში, ფრანგული ენისა და რუსული ენის განყოფილებაზე. სადიპლომოდ ავირჩიე ვლადიმერ მაიაკოვსკის მხატვრული თავისებურებანი. თემა საკმაოდ რთულია. მირჩიეს მისი დამუშავება ყველაზე უკეთ თბილისის უნივერსიტეტში შეიძლებაო და აი მეც აქა ვარ. თავდაპირველი შიში — ვაითუ თემა ვერ დავძლიო-მეთქი, გაქრა. ჩემმა ხელმძღვანელმა პროფესორმა დიმიტრი თუხარელმა გზა გამისხნა. შემასწავლა თქვენი მაიაკოვსკი, ისეთი, როგორიც იყო და ჩანს იგი თავის შემოქმედებაში — მართალი, კეთილი, ვაჟკაცი ადამიანი. მე და ჩემი პროფესორი ამ დღეებში მაიაკოვსკში გავემგზავრებით. მინდა ვნახო ის ადგილები, სადაც დაიბადა და გაიზარდა პოეტი, რომელმაც თქვა: მე ქართველი ვარ და ქართველები ჩემი ძმები არიანო.

ვინ არის ჩემი მეგობარი? გერმანულის მასწავლებელი ლია ძაძამიძე.

რომელი ადგილი მომწონს თბილისში? ალბათ, ისევ უნივერსიტეტი.

მუნირ ხამდი: კაიროს უნივერსიტეტი დავამთავრე, ახლა აკადემიკოს ევგენი ხარაძის ასპირანტი ვარ. მოკლედ რომ ვთქვა, ვარსკვლავებს ვსწავლობ და ვარსკვლავებს ვეძებ. ოთხი წლით ჩამოვედი, საკანდიდატო დისერტაცია უნდა დავიცვა.

რა მიყვარს ყველაზე ძალიან? კრივი. ქებაში ნუ ჩამომართმევთ და კარგ მოკრივედ ვითვლებოდი. რომელი გამარჯვება დამახსომდა? თქვენ წარმოიდგინეთ, ერთადერთი დამარცხება დამახსომდა. მას შემდეგ კრივს თავი დავანებე. ასტრონომიამ გამიტაცა.

13-14 წლისა ვიქნებოდი, როდესაც საქართველოს ამბავი პირველად გავიგონე. თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლის სურვილიც მაშინ დამებადა. ყრმობის დროინდელი ჩანაფიქრი იშვიათად სრულდება ხოლმე, მაგრამ მე იმედი გამიმართლდა. კიდევ რამდენსამე წელიწადს ვიცხოვრებ საქართველოში. ცოლ-შვილზე ვდარდობ. სამი წლის ვაჟი მყავს და ეჭვსი თვის გოგონა. გაისად ჩემი ოჯახობაც მესტუმრება თბილისში. ცხოვრებაში მიზანი მაქვს და ვიცი, რას ვაკეთებ. მეამაყება, რომ ჩემი ხელმძღვანელი არის აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, მსოფლიო სახელის მეცნიერი.

რუდოლფ ბერინგერი: ფრანკფურტის უნივერსიტეტი დავამთავრე. პროფესიით იურისტი ვარ. ორ წელიწადს არგენტინაში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. იქ ერთმა მოხუცმა ემიგრანტმა რუსული ენა მასწავლა.

ახლა სამეცნიერო ხარისხზე ვმუშაობ. ჩემი ხელმძღვანელია პროფესორი სერგო ჯორბენაძე. მახსოვს, როგორ ჩამოვედი თბილისში. უცხო მხარეში მოვხვდი, არავის ვიცნობდი, არავინ მიცნობდა. მაგრამ პირველი დღიდანვე კარგად წავიდა ჩემი საქმე.

მერე ბატონმა სერგომ, ახალმა მეგობრებმა, შემაჩვიეს აქაურობას. სტუმართმოყვარეობაში აბა თქვენ ვინ გაჯობებთ.

სამეცადინოდ კარგი პირობები მაქვს. მყავს ხელმძღვანელი, რომელმაც არა ერთი და ორი ჩემი თანამემამულე გამოზარდა. ასე რომ, ვცხოვრობ გერმანელი კაცი თბილისში და ვაკეთებ ჩემ საქმეს.

რიქს სმეეცი: ენა ჩემი სპეციალობაა და რა გასაკვირია, რომ ჰოლანდიელი კაცი ახლა ქართულად ვლაპარაკობ. დიდი ბედნიერებაა იყო მოწაფე ისეთი ცნობილი ლინგვისტისა, როგორიც თამაზ გამყრელიძეა. იგი ჩემს სამშობლოში, ლეიდენის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს.

რა მიყვარს ყველაზე ძალიან? — მოგზაურობა. ვყოფილვარ ბულგარეთში, თურქეთში, საფრანგეთში, ესპანეთში... და კიდევ მიყვარს ცურვა, ნიჩბოსნობა. როდის ვისვენებ კარგად? როცა მზეა, ვზივარ ჩრდილში, ვუსმენ მუსიკას ან ვკითხულობ კარგ რომანს.

რამდენი ხანია საქართველოს ვიცნობ? ჩემი ქალაქიდან კუნძულ ტენერიფემდე 120 კილომეტრია მხოლოდ.

მეორე მსოფლიო ომის დროს ხომ ამ კუნძულზე აუჯანყდა ფაშიზმს ქართველ ტყვეთა ათასეული. აჯანყებულთა უმრავლესობა გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მათი საფლავები ადუღაბებს ქართველთა და ჰოლანდიელთა მეგობრობას.

რას ვისურვებდი? იმ ხალხის ბედნიერებას, რომელმაც თავისი ცოდნის ნაწილი მეც გამიზიარა. ბუნებრივია, ყოველთვის დამაინტერესებს საქართველო, ჩემი უნივერსიტეტი, აქაური ამბები, ამიტომ მინდა გამოწერილი მქონდეს გაზეთი „სამშობლო“.

ვარაზის ხევთან თეთრი სახლი ამაღლებულა, სახლი ამაგიანი, რომელსაც ქართული მეცნიერების ტაძარი ჰქვია.

აქ მოდიან თაობები, ეწაფებიან მეცნიერებას და როცა ცოდნის საწყაოს აივსებენ, მიდიან. მერე მოდიან სხვები. აქ იზრდებიან და მაღლდებიან ადამიანები...

და თუნდაც მაღალი სვანეთიდან რომ ჩამოხვიდე, ცის კიდურზე მიატოვო თეთნულდი და უშბა, აქ მოსული, უნივერსიტეტში ამოვედიო, იტყვი.

ჯემალ ქურხული







სურათებზე: (მარცხნიდან): ლაურა ვინოგრადი, მუნირ ხამდი, რუდოლფ ბერინგერი და რიქს სმეეცი.



ყოველი მხრიდან

დისკუსიები ბაკურიანში

ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის თავშეყრა ბაკურიანში ტრადიციად იქცა. წლეულს, 28 მარტიდან 4 აპრილამდე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით უკვე მეშვიდედ შეხვდნენ ერთმანეთს რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედნი და მეცნიერები. ამჯერად ეს შეკრება საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა.

სემინარს ხელმძღვანელობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნუგზარ ფოფხაძე. გახსნაში მონაწილეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ გოგიჩაიშვილი.

გაიმართა ლიტერატურის, თეატრის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, კინოს, ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის დღეები. თითოეულს ერთდროულად ხელმძღვანელობდნენ შესაბამისი კავშირის უფროსი ან საშუალო თაობების წარმომადგენლები, რომლებიც შესავალი სიტყვითა თუ მოხსენებებით გეზს აძლევდნენ ახალგაზრდების მუშაობას, შემდეგ კი აჯამებდნენ მათ გამოსვლებს.

ყველა მომხსენებლის თემაში დაკავშირებული იყო ახალგაზრდობა და თანამედროვეობა, თუ როგორ აღიქვამს და ასახავს ახალგაზრდობა ჩვენს დიად თანამედროვეობას ლიტერატურისა და ხელოვნების ამა თუ იმ დარგში, თუ რა მნიშვნელოვანია ტრადიციებისა და ნოვატორობის, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის, წარსულისა და თანამედროვეობის პრობლემები, რომლებიც ასე ძლიერად ვლინდება ჭართველ შემოქმედთა ქმნილებებში.

ბევრი შემატა ახალგაზრდებს სემინარის ვეტერანებთან, საკავშირო ლენინური კომკავშირის ლაურეატ მწერალ ნოდარ დუმბაძესთან, პოეტებთან იოსებ ნონეშვილთან, ჯანსულ ჩარკვიანთან, მხატვრებთან უანი მეძმარიაშვილთან, მამია ახობაძესთან, გივი მიზანდართან, კრიტიკოს ოტია პაჭკორიასთან, მესხეთის სახელმწიფო თეატრის რეჟისორ ნანა დემეტრაშვილთან, კომპოზიტორებთან ოთარ გორდელთან, ვაჟა აზარაშვილთან, კინორეჟისორ ელდარ შენგელაიასთან შეხვედრებმა, მათთან აზრთა გაცვლა-გამოცვლამ.

ვუმღერით სამშობლოს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ მოაწყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ლიტერატურული კვირეული დევიზით — „ვუმღერით სამშობლოს“.

კვირეულში მონაწილეობა მიიღეს თბილისის პუშკინის სახელობის, ქუთაისის, ცხინვალისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებმა. ახალგაზრდა ლიტერატორთა ეს შეკრება მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

დალესტანში კონცერტებით

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი „ლალე“ საგასტროლოდ იმყოფებოდა დაღესტანში. ქართველმა ახალგაზრდებმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს მახაჩყალის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებსა და ჩირ კეის ჰესის მშენებლებს. ჩვენს სტუდენტებს მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ. დაღესტნელთა სტუმართმოყვარეობამ ისინი მოხიბლა.

გაზელში, გამოფენაზე...

საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის განყოფილებამ შვეიცარიის ქალაქ ბაზელში, საერთაშორისო გამოფენაზე გაგზავნა ფირფიტების სერია „საქართველო ხალხურ სიმღერებში“, რომელშიც შეტანილია ჩვენი ხალხური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები.

გამოფენის ექსპონატებში იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „დაისის“ მთლიანი ჩანაწერი, ნაწყვეტები „აბესალომ და ეთერიდან“, ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“, სიმფონიური პოემები — „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „მწირი“, ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია, ალექსანდრე მაჭავარიანის ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“, მერი დავითაშვილის „ფანტაზია“ და მრავალი სხვა.




მეთორმეტე

ცხინვალში, გმირების ქუჩის ბოლოს საძირკველი ჩაეყარა ახალი სკოლის შენობას, რომელიც რიგით მეთორმეტე იქნება ქალაქში.

ოთხსართულიანი სასკოლო შენობა გათვალისწინებულია 640 მოსწავლისათვის. სკოლას ექნება სასპორტო დარბაზი, სახელოსნო და მრავალი სათავსი.

აკაკის ქეგლი ქუთაისის „ბულვარში“



ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

„ქუთაისის ბულვარი“ — ეს სახელი დღემდე შერჩა ქალაქის ცენტრალურ ბაღს. ხანდაზმული ადამიანები ბევრ საინტერესოს გვიამბობენ მის წარსულზე. მართლაც, უამრავ მოგონებასთან, კერძოდ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დამდეგის სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენებთან არის დაკავშირებული მისი მრავლისმეტყველი ისტორია.

ლამაზია და თვალწარმტაცი ქუთაისი, განსაკუთრებით ვარდობის თვეში, როცა მისი ყოველი უბანი აყვავებულ ბაღსა ჰგავს. ამიტომ უყვარდა საქართველოს ბულბულს — აკაკი წერეთელს ქუთაისი და აკი უწოდა კიდეც მას „სავარდო და სამაისო“.

ქუთაისმა არაერთი პოეტური შედევრი შთააგონა აკაკის, მაგრამ იგი მგოსანს არა მარტო თავისი საუცხოო ბუნებით იზიდავდა, არამედ ნამდვილი ქართული იერითაც, ეროვნული კოლორიტითა და განსაკუთრებული მომხიბვლელობით.

ვარდობის თვეში, როცა ქუთაისი საარაკო სანახავი იყო, საყვარელი მგოსანი სხვიტორიდან ქალაქს ესტუმრებოდა და ტკბებოდა მისი სიმშვენიერით.

მთელი თავისი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ცხოვრება, საშწერლო მოღვაწეობა აკაკის ქუთაისთან აკავშირებდა. გიმნაზია, თეატრი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, ბულვარი, რიონი, ისტორიული ჭადარი, უქიმერიონი — აი ადგილები, რომლებმაც დედის ძუძუსავით შეაყვარეს აკაკის ქუთაისი. და როცა მეგობრებმა და ახლობლებმა დიდ პოეტს თბილისში გადასვლა სთხოვეს, მან ჩვეული სიდინჯით უპასუხა: ...აქ უჩემოდაც ბევრი ხართ. ამ საცოდავ იმერეთს უველა გაურბის და მე, რიგორც იმერელი ქართველი, მოვალედ ვხდი ჩემს თავს, აქ ვიმსახურო, რაც კი შემიძლიაო.

აკაკი წერეთელი ქუთაისში გამოდიოდა სალიტერატურო საღამოებზე, ხელმძღვანელობდა ქართულ წარმოდგენებს, კითხულობდა ლექციებს, მონაწილეობდა დრამატული საზოგადოების მუშაობაში, ეხმარებოდა საქველმოქმედო დაწესებულებებს, თავისუფალ დროს კი ხშირად სეირნობდა ქალაქის ბაღში.

ქუთაისის ბულვარი თავდაპირველად დასვენებისა და გართობის ადგილი იყო. იგი მე-19 საუკუნის 40-იან წლებში გაუშენებიათ როგორც დასვენებისა და გართობის ადგილი და არა როგორც ბაღი. აი რატომ იყო, რომ ძველად მას უწოდებდნენ არა ბაღს, არამედ „ბულვარს“. მაგრამ იგი თანდათან საზოგადოებრივი საქმიანობა-მოღვაწეობის ცენტრი გახდა და პროგრესულ შეხედულებათა გავრცელების ერთ-ერთ მთავარ ასპარეზად იქცა.

ქუთაისის მშვენიერი პანორამა ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა რუს თუ უცხოელ მოგზაურებზე. აქ თითოეულ სახლს ჰქონდა თავისი კარ-მიდამო, მცენარეებითა და ყვავილნარებით, თავისებური, მხოლოდ ამ სახლისათვის დამახასიათებელი იერით.

მაგრამ სულ სხვანაირად გამოიყურებოდა ბულვარი, რომელიც გაშენებული იყო ქალაქის ცენტრალურ ადგილზე და მას, აკაკის სიტყვით რომ ვთქვათ, „იმერული ხაჭაპურივით ოთხკუთხიანი ფორმა“ ჰქონდა. ბულვარს გარს უვლიდა წითლად შეღებილი ხის მოაჯირი, რომელსაც ირგვლივ შიგნითა მხრიდან, გაყოლებული ჰქონდა ხეივნები. ასეთივე ხეივნები ჯვარედინად ჭრიდნენ ბაღს შუა ადგილზე. ბაღი დასერილი იყო დეკორატიული ხიდებით დაშვენებული მომცრო არხებით. ერთ კუთხეში კი იდგა სხვადასხვა ფერის აგურისაგან ნაშენი პატარა სახლი — „კაფე“.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებში ქუთაისის ბულვარი გართობასა და უსაქმურობას შეჩვეული ქართველი თავადაზნაურობის თავშესაქცევი ადგილი იყო.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფეოდალური წყობის დაშლის, ბატონყმობის გაუქმებისა და თავადაზნაურობის ცხოვრების პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, სახე იცვალა ბულვარმაც. ცნობილი პუბლიცისტი სერგი მესხი გაოცებული წერდა: „პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენ შევედით იმერეთის დედაქალაქში. ეს დრო ისეთი დროა, როდესაც უწინდელ დროში ქუთაისის ბულვარი სავსე იყო უსაქმო და საქმიანი ხალხით, რომელიც ხან ისხდა და ხან დასეირნობდა ხეების ჩრდილებს ქვეშ და დროზე ჭორსა, დროზე მართალს ლაპარაკობდა და ამგვარად იმზადებდა სადილისათვის მადას. ამაში, რასაკვირველია საქები არა არის რა, მაგრამ ეს ბულვარში თავის მოყრა და მუსაიფი, რაც უნდა იყოს, ქუთათელთა სიცოცხლესა და სიცხოველეს მაინც ამტკიცებდა. ამისთანა სურათის დანახვას მოველოდი მე ახლა, როდესაც სარბენში რკინის გზის ვაგონიდან გადმოვხტი და ეტლით წავედ ქუთაისისაკენ, მაგრამ შევცდი: არა თუ ბულვარი, ქუთაისის ქუჩებიც რაღაც მივარდნილად და მიყრუებულად მეჩვენა“.

ბულვარს გამოცოცხლება მხოლოდ 70-იანი წლებიდან დაეტყო. იმ დროს ქუთაისში შემოიღეს საქალაქო თვითმმართველობა და სათავადაზნაურო ბანკიც გაიხსნა. მაშინდელი ბულვარი, აკაკის თქმისა არ იყოს, „პარლამენტს წარმოადგენდა“. აქ არჩევდნენ კანდიდატთა ავ-კარგს, აქ დაობდნენ, „ამუშავებდნენ“ სხვადასხვა ხრიკს, ამიტომ ბულვარს აკაკიმ სხვანაირად „ხრიკის მოედანი“ უწოდა.

1899 წელს გაზეთი „კვალი“ წერდა: „თუ საფრანგეთის ავ-კარგი პარიჟის ავ-კარგობით გაიზომება, ქუთაისის ჯანსაღობის მაჩვენებელი „ბულვარია“. „ბულვარი სარკეა იმერეთის დედა ქალაქის, ის არის მისი მისწრაფებათა გამომხატველი, მისი ჭირვარამის მატარებელი. თუ რაიმე საზოგადოებრივი კეთდება ქუთაისში, ამის ინიციატორი ყოველთვის „ბულვარია“, იქ იბადება ყოველივე აზრი. იქ ისხამს ფრთებს და იმერული სისწრაფით ეფინება მთელ ქალაქს. გაუსინჯეთ „ბულვარს“ მაჯა და შეიტყობთ ქუთაისის მაჯისცემას, ამ მხრივ დიდი მზგავსებაა ქუთათურ „ბულვარსა“ და პარიჟს შორის. „ბულვარი“ ქუთაისისათვის იგივეა რაც პარიჟი საფრანგეთისათვის.“

ზაფხულობით ბულვარი მუდამ სავსე იყო ხალხით, განსაკუთრებით ბევრი იყო ახალგაზრდობა, მათ შორის არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტები, რომელთაც ხალხში მღელვარე საპროტესტო განწყობილება შემოჰქონდათ.

რუსეთის პირველი რევოლუციის წინ საგუბერნიო ცენტრი — ქუთაისი უდიდეს აქტივობას იჩენდა საპირველმაისო დემონსტრაციების მოწყობაში. 1903 წლის პირველ მაისს ამიერკავკასიის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვის სოლიდარობის ნიშნად ქუთაისის ბულვარში გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელმაც შიშის ზარი დასცა მთელი გუბერნიის გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს.

1905 წლის 14 თებერვალს ქუთაისის მშრომელებმა ახალგაზრდობასთან ერთად მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოაწყეს. დემონსტრანტებს ბულვარის მახლობლად თავს დაესხა პოლიცია, მოკლეს ერთი და დაჭრეს რამდენიმე კაცი. ამ ამბავმა კიდევ უფრო გააძლიერა მშრომელთა გულისწყრომა თვითმპყრობელობის მიმართ.

ქუთაისის მშრომელებმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, გადაჭრით გაილაშქრეს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის წინააღმდეგ. 19-20 ოქტომბერს ბულვარში მოეწყო გრანდიოზული მიტინგები, რომლებზეც ამხილეს 17 ოქტომბრის მანიფესტის ნამდვილი არსი და ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდეს.

...ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი საინტერესო ამბის მომსწრეა ქუთაისის ბულვარი, რომელიც დღეს მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობის საყვარელი ადგილია.

ქვის მაღალ კვარცხლბეკზე დგას სავარძელი, რომელშიც ზის მრავალჭირნახული, ქართველი ხალხის ცხოვრებაზე მარად ჩაფიქრებული, მეოცნებე და ნათელი მომავლის რწმენით ანთებული დიდი კაცი — ჩვენი სიამაყე, ჩვენი აკაკი.

გივი მეფისაშვილი,
გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი.

ყოველი მხრიდან

საბავშვო ოპერა

„ერთგული მეგობრები“ პირველი აფხაზური საბავშვო ოპერაა. იგი დადგეს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო კაპელამ და სიმფონიურმა ორკესტრმა. ამ ოპერის შექმნის ინიციატორი იყო რესპუბლიკის მუსიკალურ-ჭორეოგრაფიული საზოგადოება. სოხუმში არსებობს საგუნდო და საბალეტო წრეები. უველაზე ნიჭიერი ბავშვები — ქალაქის მუსიკალური სასწავლებლების აღსაზრდელები — მონაწილეობდნენ კაპელისა და სიმფონიური ორკესტრის საკონცერტო გამოსვლებში. სწორედ ისინი გახდნენ ოპერა „ერთგული მეგობრების“ მთავარი როლების შემსრულებლები და ძირითადი ორკესტრანტები.

ოპერის მუსიკა დაწერა სოხუმელმა კომპოზიტორმა **მამია ბერეკაშვილმა**, რომელმაც მასში ხორცი შეასხა ხალხურ მელოდიებს და მკაფიო მუსიკალური სახეები შექმნა. ოპერა დადგეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, რეჟისორმა **ლიუდმილა ჩიხლაძემ** და ახალგაზრდა დირიჟორმა **ოთარ გორგაძემ**. წარმოდგენაში ასამდე ბავშვი მონაწილეობას.

აკადემია იკრებს მსმენელებს

ამ დღეებში გელათის სახალხო აკადემიაში გაიმართა მორიგი მეცადინეობა.

„გელათის აკადემია და უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში“ — ამ თემაზე აკადემიის მსმენელებს ესაუბრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **პატარა ბერიძე**. იგი წაიკითხა ლექცია „ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის პრობლემები“.

ოპერეტა „ირმისა“

ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ვახტანგ გოგოლაშვილის ოპერეტის „ირმისას“ პრემიერა. ოპერეტა დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ჯემალ ანჯაფარიძემ, მუსიკა კუთვნის ლილი იაშვილს.

სტუმრები იუგოსლავიიდან

ვასილ კიკვიძის სახელობის კლუბში სამი კონცერტი გამართა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ზაგრების საესტრადო ანსამბლმა. მსახიობები მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ქუთაისის ამბები

პირველი პრიზი — გენადი საყვარელიძეს

ვოსკოვში შეჯამდა პირველი სრულიად საკავშირო კონკურსის „კოსმოსის“ შედეგები, რომელიც მოაწყო ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორმა“ კოსმოსში იური გაგარინის გაფრენის 10 წლისთავის აღსანიშნავად. ოცდაათზე მეტი კოლექტივი მონაწილეობდა ამ კონკურსში. ნორჩმა ტექნიკოსებმა იურის ასზე მეტი კოსმოსური მოდელი და მაკეტი წარუდგინეს.

პირველი პრიზი ინდივიდუალურ სამუშაოთა შესრულებისათვის თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელმა **გენადი საყვარელიძემ** დაიმსახურა. მისი ნამუშევარი — მომავლის ტურისტული მთვარემავალი. იიურიმ საუკეთესოდ ცნო.

ამჯერად რევაზ გაბიჩვაძის მე-2 კამერული სიმფონია ბერლინის „შტატს ოპერის“ დარბაზში შეასრულა ქალაქ როსტოკის ნონეტმა.

გერმანულმა პრესამ, კერძოდ გაზეთებმა „ნოიეს დოიჩლანდმა“, ბერლინერ ცაიტუნგმა“, კარგი შეფასება მისცეს ქართველი კომპოზიტორის კამერულ სიმფონიას. გაზეთებში დაიბეჭდა რევაზ გაბიჩვაძის პორტრეტი და რეცენზიები. „ძალიან დიდი მოწონება ხვდა, — აღნიშნულია „ნოიეს დოიჩლანდის“ ფურცლებზე, — ქართველი კომპოზიტორის კამერულ სიმფონიას. როგორც კომპოზიტორმა ერნსტ მაიერმა გაზეთის კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა, გაბიჩვაძის ნონეტი ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ნაწარმოები იყო ფესტივალზე“.


ბერლინში ყოველ ორ წელიწადში ეწყობა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი (ბიენალე), რომელშიც მრავალი ქვეყნის კომპოზიტორები, მუსიკალური კოლექტივები და მუსიკოს-შემსრულებლები მონაწილეობენ.

წლეულს მესამედ გაიმართა ეს ფესტივალი, საქართველოდან მიწვეული იყო რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი რევაზ გაბიჩვაძე. აღსანიშნავია, რომ რევაზ გაბიჩვაძის კამერული სიმფონია ცხრა საკრავისათვის შესრულებული იყო ჯერ კიდევ პირველ ფესტივალზე 1967 წელს.

შენ გიგალობ, პატარავ!



გაზაფხულის მერცხლები
ედუარდ გიგილაშვილის
ფოტოეტიუდი



გაზაფხულდა... გუნებამ გაიღვიძა... მთა-ბარი მწვანით შემოსა, აყვავდა ჭრელა ნუშნი, ატამი, შორეული ქვეყნებიდან დაგვიბრუნდნენ მერცხლები და ჩიჩჩიკით აიკლეს არემარე.

გაზაფხულმა აამღერა ახალგაზრდა პოეტი გივი ჭიჭინაძეც. გთავაზობთ მის ახალ საგაზაფხულო ლექსებს, რომლებიც პატარებს ეძღვნებათ.

გაზაფხული

მზე იჭყიტება ღრუბლიდან,
იამ მინდორი შემოსა,
ყანა წვერ-ულვაშს
იმშვენებს,
მუხა გვიმზადებს ჩეროსა,
რას უმღერიან მერცხლები
ჩვენს ლამაზ
საქართველოსა?

სურათი

ქარმა მთიდან წუხელი
გადმორეკა ღრუბელი.
წვიმად იქცა ღრუბელი,
ბაღჩა-ბაღებს უმღერის.
აშრიალდა სიამით
დაგვალული ურთხელი.
იქვე ზარმაც ბაჭიას
პირს ჰბანს დედა კურდღელი.

ციყვი და გოგო

— მწვანე ნემსებს,
ლამაზ გირჩებს
მაღალ ნაძვზე
ვინ ამირჩევს?
— მე ავგირჩევ!
ჭყივის ციყვი,
აგისრულებ
რასაც იტყვი,
ოღონდ შენც ნუ
დამზარდები,
დამიკრიფე
ქამა, ნიყვი...

მერცხლების სიმღერა

ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკჭიკით
გაზაფხული გახარეთ,
გული დარდით აგვევსო,
ვეღარ ვძლებდით სხვა
მხარეს.

მოგვენატრა შენი ცა
და მზე თვალებბრიალა,
იქ სიზმარში ვხედავდით
ამ მთებსა და იალაღს.
ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკჭიკით
სამი დღეა მოვფრინავთ,
უცხოეთში სიცოცხლე
ძლიერ ძნელი ყოფილა.

ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

შვეიცარიელი ქართველოლოგები

„სამაია“ — ხშირად ასეთი ხელმოწერით მოგვდის მშვენიერი ქართულით დაწერილი საქმიანი თუ მოკითხვის ბარათები შორეული შვეიცარიიდან. ამ ბარათების ავტორები სამნი არიან, საერთო საქმით შეერთებულნი.. მათი სახელები საქართველოში ახლა თითქმის ყველამ იცის, დიდმა თუ პატარამ.

შვეიცარიელი ქართველოლოგი ქალების — პროფესორ იოლანდა მარშევის, ქალბატონ ლეა ფლურისა და დოქტორ რუთ ნოიკომის შესახებ ზოგი რამ ადრეც მსმენოდა. ამიტომ, როდესაც 1966 წლის შემოდგომაზე საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ საგზური მომცა შვეიცარიაში სამოგზაუროდ, ჩემთვის მთავარი ის კი არ იყო, მეხილა ეს ლამაზი ქვეყანა, ჩემს სამშობლოს რომ ამსგავსებენ, არამედ — გავცნობოდი იმ სამ ქალს, ჩვენი ენით, მწერლობითა და კულტურით რომ არიან დაინტერესებულნი. შვეიცარიაში წასვლის წინ ჩემმა მეგობარმა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა ბევრი რამ მიამბო მათ საქმიანობაზე, მათი ფოტოსურათებიც მიჩვენა. ჩვენი მოგზაურობა შვეიცარიელ ქართველოლოგთა მშობლიური ქალაქიდან — ციურიხიდან დაიწყო. ამას იმიტომ ვიგონებ, რომ პირველ ღღესვე მათთან შეხვედრამ ტონი მისცა ჩემს იქაურ შთაბეჭდილებებს.

...ისინი სასტუმრო „ბაზილიაში“ მეწვივნენ. საქართველოში ნანახი ფოტოსურათებით მაშინვე ვიცანი ორი ტანჯენარი ქალი — იოლანდა მარშევი და ლეა ფლური. რუთ ნოიკომი იმ დროს ციურიხში არ იმყოფებოდა. საოცრად მღელვარე იყო ჩვენი შეხვედრა. მათ მკერდს უმშვენებდა სამკერდე ნიშნები შოთა რუსთაველის გამოსატულებით. საქართველოდან მიეღოთ. მასპინძლები ხელდამშვენებული მოვიდნენ — მაჩუქეს კიტა ჩხენკელის „ქართული ენის შესავალი“ გერმანულ ენაზე ორ ტომად, გულთბილი წარწერით მისახსოვრეს „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის თარგმანი გერმანულად. მეც მივართვი „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო მინიატიურული გამოცემა და „ხალხური სიბრძნის“ ტომები. შვეიცარიელმა ქალებმა მომხიბლეს თავიანთი დარბაისლური ქართულით.

ამ ხანმოკლე შეხვედრამ სათავე დაუდო შვეიცარიელი ქართველოლოგების საქმიანობის პოპულარიზაციას საქართველოში. სამშობლოში დაბრუნებისთანავე პრესის ფურცლებიდან ვამცნე ფართო საზოგადოებას მათი ღვაწლი ქართული ენის, დამწერლობისა და საერთოდ კულტურის სფეროში. გამოქვეყნდა მათი ფოტოსურათებიც. ქართველმა მკითხველებმა გაიგეს, რომ ქალბატონი იოლანდა მარშევი — ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც შორეულ შვეიცარიაში ქართულ ენას ასწავლის, ქართულ-გერმანული ლექსიკონის მთავარი რედაქტორია. ქალბატონი ლეა ფლური გამგეა იმ გამომცემლობისა, რომელიც ჩვენი ეპიკური გმირის — ამირანის სახელს ატარებს. გამომცემლობა „ამირანი“ ბეჭდავს ქართულ წიგნებს და იმ ძვირფას ქართულ-გერმანულ ლექსიკონს, რომლის მე-18 ნაკვეთი უკვე მივიღეთ. ლეა ფლური არის ავტორეთვე ამწყობი ქართულ-გერმანული ლექსიკონისა, „სამაიას“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი დოქტორი რუთ ნოიკომი კი — თანაავტორი „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის გერმანული თარგმანისა. ეს წიგნი მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიას ეკუთვნის. შარშან რუთ ნოიკომმა ქართველი მეგობრები გაგვახარა ქართული ლიტერატურის ნიმუშების ახალი თარგმანებით — ხსენებული ბიბლიოთეკის სერიიდან გამოსცა მშვენიერი წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია მისეულ ჯვავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუას, გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობები და ნოველები. რუთ ნოიკომის ამ წიგნს გულთბილად გამოეხმაურა ქართული პრესა.

მთლად სწორი არ იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ შვეიცარიაში ქართველოლოგიით მხოლოდ სამი ქალი იყოს დაინტერესებული. სულ ახლახანს გარდაიცვალა ქალბატონ იოლანდა მარშევის დედა, რომელიც ჩვენი კულტურის დიდი პატივისმცემელი და უანგარო მეგობარი იყო. იგი ქალიშვილსა და მის მეგობრებს დიდად ეხმარებოდა ქართველოლოგიურ მოღვაწეობაში, თვითონაც დაწყებული ჰქონდა ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შედგენა. ქართველი მეგობრები დიდად დაამწუხრა მისმა გარდაცვალებამ.

შვეიცარიელმა ქართველოლოგებმა ისე დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა, რომ ჩვენი სამშობლო არ ენახათ. საქართველოში მოგზაურობა მათი ოცნება იყო. თბილისის უნივერსიტეტს 50 წლისთავზე ქართველოლოგი ქალები მოიწვიეს საიუბილეო ზეიმზე. ძვირფას სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ. მათ მასპინძლების თანხლებით მოიარეს ჩვენი სამშობლოს მრავალი კუთხე, უშუალოდ განიცადეს ქართველი ხალხის გულის სითბო, ქართული სტუმართმოყვარეობა. ზოგან ისინი იცნეს კიდეც იმ წერილითა და ფოტოსურათით, ჟურნალ „საქართველოს ქალში“ რომ იყო გამოქვეყნებული. გაგვაოცეს აჭარელმა ბავშვებმა გონიოში, მათაც იცნეს ჩვენი სტუმრები, ალყა შემოარტყეს, ყვავილებითა და ციტრუსებით დასეტყვეს. შვეიცარიელი ქართველოლოგები გულთბილად მიიღეს ყველგან, გორში თუ თერჯოლაში, ვანსა თუ ძიმითში, ქუთაისსა თუ ბათუმში, კახეთის მშვენიერ მთებში და ყველგან, სადაც კი ფეხი დადგეს ქართულ მიწაზე. ვანელებმა შვეიცარიელ „ქართველებს“ ქართული კაბები მიართვეს. თერჯოლაში სალხინო სუფრაზე თამადამ ასე დალოცა სტუმრები: იმდენ ხანს იცოცხლეთ, რამდენი ქართული სიტყვა გითქვამთ და რამდენსაც კიდევ იტყვითო.

სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, უნივერსიტეტში — რუსთაველის კაბინეტში, უცხო ენათა ინსტიტუტში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში და სხვაგან. ჩვენი უცხოელი მეგობრები ბინაზეც მიიწვიეს რესპუბლიკის გამოჩენილმა ადამიანებმა — აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ, მწერალმა-აკადემიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ და სხვებმა. შვეიცარიელმა ქალებმა მოხიბლეს ქართველები თავიანთი ტკბილი ქართულით, ქართული მრავალჟამიერის შესრულებით, „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული სტროფების, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერნის“, ვეჟას ლექსების დეკლამაციით.

ტკბილი ქართულით მოსაუბრე უცხოელებს გულთბილად ხვდებოდნენ უბრალო ადამიანებიც. ფარდულში სამახსოვროს ყიდვა რომ უნდოდათ, ფული უკვე გადასდიდეთ აღმოჩნდა. იქვე მდგომ 15 წლის ჭაბუკს ეცნო ბსინი, მანაც გამოხატა თავისი პატივისცემა მის დედაენაზე მოსაუბრე უცხოელებისადმი. არც ტაქსის შოფერს აეღო მათგან ფული... ვაოცებითა და აღტაცებით ამბობდნენ, ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდესო.

ჩვენმა შვეიცარიელმა მეგობრებმა ერთგვარი სინანულით დატოვეს საქართველო. სამშობლოში დაბრუნებისთანავე „სამაიას“ ხელმოწერით გამოგზავნილ ბარათში იწერებოდნენ: „ჩვენი ფიქრები, რა თქმა უნდა, სულ საქართველოშია, სულ საქართველოზეა ლაპარაკი...

...კვლავ უნდა შეეუდგეთ მუშაობას, რაც ადვილი არ არის ამდენი შთაბეჭდილების შემდეგ, საქართველოში გატარებული დღეები დაუვიწყარი დარჩება და ხშირად მოვიგონებთ ყველას... უფრო მოვვიანებით ასე მოგვწერეს შვეიცარიელმა მეგობრებმა: „ძალიან ხშირად ვიგონებთ საქართველოში გატარებულ დროს, ჩვენს ქართველ მეგობრებს და არაჩვეულებრივ სასიამოვნო და სასიხარულო მიღებას ყველგან. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო სიზმრად მიგვაჩნია ყველაფერი“.

ქართველოლოგ ქალებს გულწრფელად ახარებთ ქართული ენის წარმატება შვეიცარიაში. ამის მაჩვენებელია სტრიქონები მათი ბარათიდან: „...იოლანდას სტუდენტი (ქართული ენისა) ბრწყინვალედ გამოვიდა სადოქტორო გამოცდაში. ეს ძალიან სასიხარულო ამბავი იყო, რადგანაც პირველად მოეწყო ქართული ენის გამოცდა ციურიხში და საერთოდ შვეიცარიაში. ამიერიდან ქართული ენა იქნება საგამოცდო საგანი ციურიხის უნივერსიტეტში, იმედია, ეს სხვა ახალგაზრდებს გაამხნევებს, რომ ქართული შეისწავლონ“.

ჩვენც ხშირად ვიგონებთ შვეიცარიელ მეგობრებს. მადლობას ვუძღვნით მათ ჩვენი ენის, ჩვენი ხალხის კულტურის ამაგისა და პატივისცემისათვის.

ქსენია სიხარულიძე,
პროფესორი.



სურათზე: შვეიცარიელი ქართველოლოგები (მარცხნიდან) რუთ ნოიკომი, ლეა ფლური, იოლანდა მარშევი.

მოგება, ნაგება, ფრე

სანი მატჩი გამართა საბჭოთა კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამომ“. როგორც უკვე ვიუწყებოდით, თავიანთ პირველ პაექრობაში ქართველმა ფეხბურთელებმა მოსკოვის „ტორპედოსთან“ წარმატებას მიაღწიეს და აქტივში ორი ქულა ჩაიწერეს. რა თქმა უნდა, იმედიანი სტარტი მეორე მატჩშიც წარმატების რწმენას გვისახავდა. სამწუხაროდ, წინასწარი ვარაუდი არ გამართლდა, თბილისელები შარშანდელი ჩემპიონის, მოსკოვის არმიელთა გუნდის წინააღმდეგ თამაშობდნენ ნელი ტემპით, მოსდიოდათ ბევრი შეცდომა ბურთის გადაცემის დროს. არმიელები, რომლებმაც თამაშის ტაქტიკა კონტრიერიშებზე ააგეს, თავდაპირველად ერთი ქულის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ, მაგრამ მეტოქის უღიმღამო თამაშმა ბურთის გატანის სურვილიც აღუძრათ და აი პირველი ნახევრის დასასრულს ცსკას თავდამსხმელმა ბურთი თბილისელთა ბადეში გაახვია. „დინამომ“ დამარცხებულმა დატოვა მოედანი.

მესამე მატჩი თბილისელებმა მოსკოვში, დედაქალაქის „სპარტაკის“ წინააღმდეგ გამართეს. თუ ბურთის გასატანი მომენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, თბილისელებს აუცილებლად უნდა გაემარჯვათ, მაგრამ თავი იჩინა ძველმა სენმა — „დინამოს“ თავდამსხმელები კარში ძალზე არაზუსტად ურტყამდნენ. ანგარიში სპარტაკელებმა გახსნეს, მაგრამ, არ გასულა ერთი წუთიც და გოჩა გავაშელმა, კუტივაძეს მიწოდებით სპასუხო ბურთი გაიტანა. საბოლოოდ აღინიშნა ფრე — 1:1.

მაშ ასე, პირველ სამ მატჩში თბილისელებმა სამი ქულის აღება შეძლეს.

ფანტასტიკური შედეგი

ასმა საოცარ შედეგს — 13 ქულას 13 შესაძლებლიდან ვერც ერთი თანამედროვე მოჭადრაკე ქალი ვერ დაიტრაბახებს. რეკორდი აქამდეც ნონა გაფრინდაშვილს ეკუთვნოდა, რომელმაც 1963 წელს ბევერვიკის ქალთა საერთაშორისო ტურნირში 9 შესაძლებლიდან 9 ქულა დააგროვა. ახლა, როგორც ვხედავთ, მსოფლიო ჩემპიონმა საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა. ამასთან ყოველივე ეს ხდება არა „ვერა მენჩიკის ეპოქაში“ (გამოჩენილ ჩეხ მოჭადრაკესაც ჰქონდა ოთმადე 100-პროცენტიანი შედეგი), არამედ საჭადრაკო ხელოვნების აყვავების პერიოდში, როდესაც მსოფლიოში არაერთი ჩინებული ოსტატი ქალია.

ერთი სიტყვით, ბელგრადში 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა დიდ საერთაშორისო ტრადიციულ საჭადრაკო ტურნირზე ნონამ სრულიად უჩვეულო ტრიუმფი იზეიმა. მის შესახებ ბევრს წერდნენ იუგოსლავიის სპორტული გაზეთები. მაგრამ უმჯობესია მოვუსმინოთ თვით ნონას:

● რ.ᲠᲓᲘᲡ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡ?

მეშვიდე ტურში ნიკოლაუს დამარცხების შემდეგ.

● ᲕᲘᲜᲔᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲭᲜᲘᲐᲗ ᲡᲐᲔᲕᲕᲝ, ᲐᲜ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲗᲠᲝ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ?

ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მეტოქემ ყაიმის კარგი შესაძლებლობა მიიღო. კატია იოვანოვიჩთან ვთამაშობდი, ყველაზე უფროსთან სამ მოჭადრაკე დას შორის. ფორსირებულ ვარიანტზე წავედი, მაგრამ კატიამ რამდენიმე ზუსტი მანევრის შემდეგ გაათანაბრა პოზიცია. შემდეგში მაინც შევძელი ბრძოლის გართულება და უკვე წასაგებ პოზიციაში კატია იოვანოვიჩმა მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააჭარბა.

● ᲛᲐᲚᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ. ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ?

ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა აქვთ მილუნკა ლაზარევიჩსა და საბჭოთა მოჭადრაკეებს, თუმცა შეიძლება ამ ტურნირმა მოულოდნელი შედეგებიც მოგვიტანოს.

ახლა ნონას დიდი საჭადრაკო გეგმები აქვს. ზაფხულში გეტებორგის (შვეცია) საჭადრაკო კლუბი ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირს მართავს. შვედებმა მიიწვიეს ნონა, მსოფლიოს ჩემპიონი ბორის სპასკი და გამოჩენილი დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენი. ნონა და სპასკი უკვე დათანხმდნენ. ვნახოთ, გამოძებნის თუ არა დროს ლარსენი.

1 ოქტომბერს სოხუმში იწყება გამოჩენილი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგლიძის მემორიალი. პირველსარისხოვან უცხოელ და საბჭოთა მოჭადრაკეებთან ერთად ამ ასპარეზობაში საქართველოდან ითამაშებენ ბუხუტი გურგენიძე, ედუარდ გუფელდი, რომან ჯინჯიხაშვილი, მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. სოხუმში დაწესდება საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ქულათა ნორმა.

დეკემბერში ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია), როგორც ყოველთვის, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება გაიმართება. საბჭოთა კავშირიდან ამჯერად 3 მოჭადრაკე გამოვა: ნონა, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ნანა ალექსანდრია და საბჭოთა კავშირის ახლანდელი ჩემპიონი ალა კუშნირი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ 3 გამოჩენილ მოჭადრაკეს აქამდე არასოდეს უთამაშია ერთად.

გივი გამრეკელი

ქართველ კაცს საუკუნეებიდან მოსდგამს სპორტის სიყვარული. ჰიდაობა, ლელო, ცხენბურთი სასპარეზოდ, ვაჭკაცობისა და გულადობის გამოსაცდელად უხმობდა რჩეულთ.

ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲗ, ᲨᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲨᲕᲔᲚᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲭᲜᲓᲐ, ᲐᲗᲐᲡᲙᲝᲒᲘᲗ ᲮᲐᲑᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲗᲔᲓᲖᲐᲫᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲠᲝᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲪᲐ ᲪᲮᲔᲜᲖᲔ ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲔᲑᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲫᲐᲒᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ — ᲚᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲔᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ.





მისი ყველაზე დიდი სიყვარული

ნახმარმცვლმა ბურთი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ჩაჭიდა. ჰაერში ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელი აღიმართა, ყველას მაღალი ტანის ცენტრალურმა თავდამსხმელმა აჯობა, თავური დარტყმა და... ტრიბუნებს სიხარულის ყიჟინამ გადაუარა, გატანილი ბურთის ავტორი მეგობრებმა ხვევნა-კოცნით კინაღამ დაახრჩვეს... მაგრამ ზუიმი ნაადრევი აღმოჩნდა: მსაჯმა ცენტრის ნაცვლად იქვე, საჯარიმო მოედანზე მიუთითა და თავისუფალი დარტყმით ბურთის თამაშში შეყვანა მოითხოვა. ტრიბუნების სიხარული გულისწყრომამ შეცვალა, გაისმა სტვენა, ვიღაცა მსაჯის მინდვრიდან გაძევებასაც მოითხოვდა. მღელვარება ფეხბურთელებსაც გადაედოთ, როგორ არ უმტკიცებდნენ არბიტრს — ბურთი ყოველგვარი წესის დაცვით გავიტანეთო, მაგრამ ერთხელ ნათქვამს შეცვლა აღარ ეწერა. შავებში გამოწყობილი მამაკაცის მტკიცე ნებისყოფამ ჯერ ფეხბურთელები დაიმორჩილა, ხოლო შემდეგ ტრიბუნებიც დაწყნარა...

მეორე დღეს ადგილობრივი თუ საკავშირო გაზეთების ფურცლებზე სპორტული კომენტატორები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ: საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა, თბილისელმა კარლო ყრუაშვილმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შესანიშნავად გაართვა თავი ამ მეტად დაძაბულ და ძნელ მატჩსო...

— თამაშს კარლო ყრუაშვილი უწევს მსაჯობას! დიქტორის ეს სიტყვები სტადიონზე პირველად 1954 წლის გაზაფხულზე გაისმა. ეს იყო, ასე ვთქვათ, დიდ სარბიელზე თბილისელი არბიტრის პირველი ოფიციალური გამოსვლა. მანამდე კი...

გაიყოფოდნენ ბიჭები, იტყოდნენ არჩევანი მე, არადანი მეო და როდესაც გუნდები საბრძოლველად დაეწყობოდნენ, კარლოს ყელგამოწვდილი ეხვეწებოდნენ, — შენ გაგვიწიე მსაჯობაო. არა, იგი სხვებზე ნაკლებად როდი თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ მსაჯობა მაინც უკეთ ეჭირხლობოდა. და კარლოც შეეჩვია თავის „ბედს“. მართალია, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდში ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა, მაგრამ დიპლომის მიღებისთანავე არბიტრის სასტვენს მოჰკიდა ხელი.

— ვიგრძენი ჩემგან დიდი ფეხბურთელი არ გამოვიდოდა, მსაჯი კი ურიგო არ უნდა ვყოფილიყავი. საკუთარ სინდისს არასოდეს გავქცევივარ და აბა, ახლა რა ღმერთი გამიწყრებოდაო — თქვა საუბარში კარლო ყრუაშვილმა და თან გაზეთების შეკვრა გადმოიღო, რომელშიც სპორტული კომენტატორები ასე პირუთვნელად ლაპარაკობენ მისი მსაჯობის ავ-კარგზე.

სად არ ყოფილა, რა რანგის მატჩზე არ გაუწევია მსაჯობა. ინგლისი, შვეცია, შვეიცარია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა... ყველგან მადლობის სიტყვები, ქება და დიდება. აი რამდენიმე მათგანი: „შოტლანდიისა და ავსტრიის ნაკრებთა შეხვედრა,—წერდა ავსტრიის ერთ-ერთი გაზეთი,— დასახსომებელია ქართველი არბიტრის — კარლო ყრუაშვილის ყოველმხრივ დახვეწილი მსაჯობით. ურიგო როლი იქნებოდა ჩვენმა მსაჯებმა სასწავლო წიგნად გამოიყენონ ყოველივე, რისი ჩვენებაც შეხვედრის ორი ნახევრის განმავლობაში ამ ათლეტური აგებულების სიმპათიურმა მამაკაცმა შესძლოო...

ინგლისის „ეკერტონისა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბორუსიის“ შეხვედრის შემდეგ უეფას კომისარმა ძალზე მაღალი შეფასება მისცა კარლო ყრუაშვილის მსაჯობას და პრესის მუშაკებს განუცხადა — კარლო ყრუაშვილი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალკვალიფიციური არბიტრიაო.

დიდია კარლო ყრუაშვილის ავტორიტეტი ჩვენს ქვეყანაშიც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ასეთი ფაქტი. ყოველ წელიწადს საბჭოთა პრესაში ქვეყნდება 10 საუკეთესო მსაჯის სია და აი, 1961 წლიდან, როგორც წესი, კარლო ყრუაშვილი ამ სიის ბინადარია. თბილისელ არბიტრთა ბრიგადას, კარლო ყრუაშვილის, გიორგი ბაქანიძისა და ილია ბოჭორიძის შემადგენლობით, ყველა სტადიონი გულღიად ეპატიჟება. იციან, ისინი, როგორც ყოველთვის, მოუკერძებელი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იქნებიან.

ამ დღეებში ჩვენი დედაქალაქი დიდი ფეხბურთით ცხოვრობდა — საზეიმოდ აღიმართა ფეხბურთში საკავშირო პირველობის ალამი. რა თქმა უნდა, ასეთ დროს საინტერესოა ესაუბრო ერთ-ერთ იმათგანს, ვისმა სასტვენის ხმამაც საფეხბურთო ბატალიების დაწყება გვამცნო. და ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა კარლო ყრუაშვილს.

● პატივცემულო კარლო, როგორ ფიქრობთ, თბილისის „დინამო“ გაამართლებს გულშემატკივართა იმედს?

მე, როგორც თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარი, ყოველ ახალ სეზონს ახალი იმედით ვხვდები. მინდა ჩემი საყვარელი გუნდი ჩემპიონის კვარცხლბეკზე ვიხილო. ასეა წლეულსაც, მჯერა, დინამოელები შარშანდელზე უკეთ ითამაშებენ. არგუმენტი? რამდენიც გნებავთ — ახალგაზრდებს გამოცდილება მოემატათ, გუნდში (როგორც გადმომცეს) ძალზე მეგობრული ატმოსფეროა, რაც მთავარია, მოვიდა მწვრთნელი გავრილ კაჩალინი, რომლის სახელთან „დინამოს“ ყველაზე დიდი წარმატებაა დაკავშირებული.

● თქვენ, როგორც მსაჯი, ფიქრობთ თუ არა, რომ, დინამოელთა წარმატება ობიექტურ მსაჯობაზე ბევრად არის დამოკიდებული?

რა თქმა უნდა, კარგ მსაჯობაზე ბევრია დამოკიდებული. მინდა გითხრათ, რომ ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში ძალზე ბევრი კეთდება. წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ქმედითი ღონისძიებები ტარდება არბიტრთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ისე კი, მოგესსენებათ, შეცდომებისაგან არავინ არის დაზღვეული.

● თუ გეყავთ ტრადიციულად ძნელად სამსაჯო გუნდები?

არა, მსაჯობა არც ერთ გუნდთან არ მიჭირს. ისე კი არიან გუნდები, რომელთანაც მინდორზე შეხვედრა მესიამოვნება: მოსკოვის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“.

● თბილისის „დინამო“?

მე, როგორც თბილისელი, თბილისის „დინამოს“ მატჩებს არ ვუწევ მსაჯობას, ისე კი, ჩემი კოლეგების თქმით, თბილისის „დინამოც“ იმ გუნდებს განეკუთვნება, რომლებსაც უხერხში თამაში არ ახასიათებთ.

● უახლოეს ხანში ხართ თუ არა მიწვეული საზღვარგარეთ სამსაჯოდ?

25 აპრილს ჩავალ თურქეთში და მსაჯობას გავუწევ მატჩს ევროპის პირველობაზე. მასპინძლები—თურქეთის ნაკრები ამ დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს შეხვდებიან.

● ვიცით, რომ პროფესიით მწვრთნელი ბრძანდებით. რომელ გუნდში მუშაობთ ამჟამად?

ძალიან მეხალისება, მიყვარს ბავშვებთან მუშაობა. ახლა ჯგუფში, სადაც მწვრთნელად ვმუშაობ, 60 ბავშვია გაერთიანებული. როდესაც წლები თავისას გაიტანს და მსაჯობას თავს დავანებებ, თუმცა 45 წლის კაცისათვის ამაზე ფიქრი ცოტა ნაადრევია, მთელ ჩემ გამოცდილებასა და ცოდნას კვლავ ყველაზე დიდ სიყვარულს — ფეხბურთს მოვახმარ და კვლავაც აუცილებლად ბავშვებთან ვიმუშავებ...

* * *

სურათზე: ქართველ მსაჯთა ბრიგადა (მარცხნიდან) ზურაბ თოდაძე, კარლო ყრუაშვილი და ილია ბოჭორიძე.

მაისი

ზეიმს მზე და ვარდების სიმრავლე უხდება. იქნებ ამიტომაც ვარჩიეთ მაისის თვე ჩვენი ყველაზე დიდი დღესასწაულის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის იუბილეს გადასახდელად.

ახმიანდება ჩვენი სამშობლოს მთა-ველი, ლხინიც სანაქებო გვექნება და სტუმრებსაც ურიცხვს მივიღებთ. ყველას ვინც ამ სიხარულს გაიზიარებს, სიყვარულს, მეგობრობას, ვარდებს ვუძღვნით სანაცვლოდ...

მანამდე კი ღირსეულად აღვნიშნავთ ტრადიციულ დღესასწაულს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს.

მალე პრესის მუშაკებიც ვიზეიმებთ — 5 მაისი ხომ ბეჭდვითი სიტყვის დღეა.

ეს დღე კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტთან არის დაკავშირებული — ზუსტად 25 წლის წინათ მონტე-კარლოში დაიდგა ბალეტი „შოთა რუსთაველი“. მუსიკა დაწერეს ცნობილმა ფრანგმა კომპოზიტორმა არტურ ონეგერმა, ალექსანდრე ჩერეპნინმა და ტიბოს ჰერსანმა. დადგმა ეკუთვნოდა სერჟ ლიფარს. სამწუხაროდ, თუ რა ბედი ეწია შემდეგში ამ ბალეტს, რამდენ ხანს შერჩა სცენას, ჩვენთვის უცნობია.

7 მაისს ჩვენი ქვეყნის რადიოს მუშაკები იზეიმებენ.

9 მაისს კი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს აღნიშნავენ.

15 მაისს დაბადების 80 წელი უსრულდება დიდ მწერალს, აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას. ბატონ კონსტანტინეს დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

100 წლის წინათ, 1871 წლის 19 მაისს დაიბადა იგორ ჭელიძე — ცემენტის გამომგონებელი.

1896 წლის 21 მაისს დაიბადა დემნა შენგელაია, ქართველი მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

20 წლის წინათ, 1951 წლის 27 მაისს საგურამოში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.







სურათებზე: (მარცხნიდან) ნანა ნაღებაშვილი; სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი „ლალე“; ოლღა ბეჟუაშვილი.

„ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“

რესპუბლიკაში არ დარჩენილა ქალაქი, სოფელი თუ დაბა, თავისი წარმომადგენელი რომ არ გაეგზავნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ტელევიზიის ახალგაზრდობის გადაცემათა რედაქციის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე — „ალო, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“.

ავტორიტეტული ჟიური კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის თავმჯდომარეობით ხან აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებს უსმენდა, ხან გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში აფასებდა ტალანტების ოსტატობას.

საუკეთესოთა შორის საუკეთესოები დაუშვეს თბილისში გამართულ დასკვნით ტურში. სპორტის სასახლე მაყურებლებით აივსო. თითოეულ მომღერალს დარბაზი ოვაციით ხვდება, ჟიურის კი გამოაქვს განაჩენი. საქმეში ერევა არითმეტიკა. ჯამდება ქულები. ხუმრობა ხომ არ არის — მხოლოდ პირველ ადგილზე გამოსული მიიღებს მონაწილეობას კავკასიის ზონის დასკვნით კონცერტზე, რომელიც თავის მხრივ გადაწყვეტს, თუ ვინ წავა მოსკოვში.

ჟიურისა და დარბაზს შორის ყოველთვის როდია ერთსულოვნება. მაყურებელი ყველას მიმართ გულუხვია, ყველა მომღერლისათვის უმაღლეს ქულას ითხოვს, ჟიური კი თავის საქმეს დინჯად, აუჩქარებლად აგრძელებს და საუკეთესოებს ასახელებს. პირველი ადგილი ენიჭებათ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (სოხუმი) საესტრადო ანსამბლს „ლალს“ და დუშელ ქალიშვილს ნანა ნაღებაშვილს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბათუმის გოგონათა ანსამბლი და სოხუმელი მომღერალი ოლღა ბეჟუაშვილი, მესამე ადგილი წილად ხვდა მახარაძის მაჭმა კვარტეტს და ქუთაისელ სალომე ნარიშელაშვილს.

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში გაიმართა კავკასიის ზონის ახალგაზრდა შემსრულებელთა დასკვნითი კონცერტი, რომლის მსვლელობას ტელევიზიით საესტრადო მუსიკის მილიონობით მოყვარული უსმენდა და ადევნებდა თვალს. ჩვენდა გასახარად საქართველოს ორივე წარმომადგენელი — ანსამბლი „ლალე“ და მომღერალი ნანა ნაღებაშვილი მოხვდა იმ ჯგუფში, რომელიც ივნისში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო კონკურსის დასკვნით ტურში.

შემდგომ წარმატებას ვუსურვებთ ახალგაზრდა მომღერლებს...

ზაქარია ფალიაშვილის სახელობისა

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ოქტომბერში აწყობენ **ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონკურსს.** კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 20-35 წლის ვოკალისტებს.

კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში შევლენ ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ-ვოკალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი.

დაწესებულია სამი პრემია და ორი დიპლომი ქალებისათვის და ამდენივე მამაკაცებისათვის.

პირველი პრემია — 600 მანეთი და ლაურეატის წოდება.

მეორე პრემია — 400 მანეთი და ლაურეატის წოდება.

მესამე პრემია — 300 მანეთი და ლაურეატის წოდება.

ორი დიპლომი და ფულადი პრემია — 100-100 მანეთი.

ქართული სამზარეულო

გოჭი ტაბაკად

გასუფთავებული, გარეცხილი მუცელგაჭრილი მთლიანი გოჭი (სასურველია ძუძუთა გოჭი) გაჩაჩხეთ ისე, რომ ხახევრები ერთმანეთს არ მოაშოროთ და მოაყარეთ მარილი.

ნიორი (სამი კბილი) და მარილი დანაყეთ, დაუმატეთ თქვენს გემოზე დანაყილი ქინძის თესლი, ორი სუფრის კოვზი წყალი და აურიეთ. მიღებული მასალა წაუსვით გოჭს მუცლის ღრუში (კანზე არ წაუსვათ). ასეთნაირად დამზადებული, გაჩაჩხული გოჭი მოათავსეთ ცხელ ტაფაზე ისე, რომ შეიდროდ მიეკრას მას, შედგით ცხელ ფურნაკში და შეწვით.

ერთი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ნიორი (ერთი კბილი), ქინძი თესლიანად (ორი ღერი), წიწაკა და მარილი (თქვენს გემოზე) დანაყეთ ერთად, თან გამოხადეთ ზეთი და ცალკე ჭურჭელში ჩაასხით. ზეთგამოხდილი ნიგვზის მასა გახსენით თქვენს გემოზე ბროწეულის წვენითა და ანადუღი ცივი წყლით. მიღებულ საწებელაში ჩაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

გოჭს შეწვის დროს კანზე ხანგამოშვებით უსვით ნიგვზიდან გამოხდილი ზეთი და ასხით წვის გამოყოფილი წვენი. შეწვის პროცესში გოჭი არ გადააბრუნოთ და საერთოდ ადგილი არ შეუცვალოთ, თუ ეს საჭიროა, ტაფა შეატრიალეთ.

შემწვარი მთელი გოჭი მოათავსეთ ლანგარზე და მორთეთ მწვანილის ღეროებით. გოჭთან ერთად ცალკე სასაწებლეთი მიიტანეთ წინასწარ მომზადებული ნიგვზის საწებელი.

თამარ სულაქველიძე

დაგეძებენ, მოგელიან

შალვა (შაქრო) ოლიფანტეს ძე დოლიძეს,

დაბადებულს 1921 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ძირგანახლებაში, ეძებენ დედა — **ეკატერინე,** დები — **ზინა, გუგული** და **როზა დოლიძეები,** მცხოვრებნი სოფელ ძირგანახლებაში.

გიორგი ივანეს ძე ქონენაშვილს,

დაბადებულს 1924 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ შრომაში, ეძებენ დედა — **ბაბულია,** მამა — **ივანე,** დები — **მარიამ** და **ეკატერინე ქონენაშვილები,** მცხოვრებნი სოფელ შრომაში.

შოთა სლოეს ძე სირაძეს,

დაბადებულს 1921 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომარში, ეძებს დედა — **ანა სირაძე,** მცხოვრები სოფელ ნაგომარში.

გენია პავლეს ძე ღვინერიას,

დაბადებულს 1912 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირ-ქვიტირში, ეძებენ მეუღლე — **ელზა,** შვილი — **ნათელა,** ძმა — **დავით ღვინერიები,** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, წიქლაურის ქუჩა № 17.

ვახტანგ ნიკიფორეს ძე შეყრილაძეს,

დაბადებულს 1922 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ მელუშეთში, ეძებენ ბებია — **ანა,** მამა — **ნიკიფორე შეყრილაძეები,** მცხოვრებნი ჭიათურაში, ცხაკაიას ქუჩა № 1.

რევაზ ვასილის ძე უზნაძეს,

დაბადებულს 1923 წელს თბილისში, ეძებენ მამა — **ვასილ,** დედა — **თამარ,** ძმა **შალვა,** და — **ოლიკო უზნაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა № 2.

ნიკოლოზ ზაქარიას ძე ესიტაშვილს,

დაბადებულს 1915 წელს თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხოდაშენში, ეძებენ დედა — **სალომე,** მეუღლე — **მარიამი,** შვილი — **ომარი, რძალი** — **ნუნუ,** შვილიშვილები — **ნუკრი** და **ზაზა ესიტაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ორთაჭალის ქუჩა, II ჩიხი № 4.

შალვა ვასილის ძე მაჭიაშვილს,

დაბადებულს 1918 წელს დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევში, ეძებენ შვილი — **ორკნედა,** ძმები — **შოთა** და **ოთარი,** დები — **თინა** და **გულიკო მაჭიაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ციხისძირის I შესახვევი № 13.

ძმებს ივანე და ვლადიმერ პავლეს ძე ჩხეიძეებს,

დაბადებულთ 1906 და 1910 წლებში მაიაკოვსკის (ყოფილი ბაღდათის) რაიონის სოფელ ქვემო დიმში, ეძებენ მეუღლე — **ქეთო,** შვილი — **ლამარა,** მეუღლე — **ბაბო,** შვილები — **გურამ** და **რეზო ჩხეიძეები,** და — **აგრაფინა,** შვილიშვილები — **მანანა, მაია, მაკა, გეგეშიძეები, მარიკა** და **ნინიკო ჩხეიძეები,** მცხოვრებნი სოფელ ქვემო დიმში.

მიხეილ კონსტანტინეს ძე გვალიას,

დაბადებულს 1913 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში, ეძებენ და — **ლუსია გვალია-დოჭვირი,** დისწულები — **დალი, გურამ, სოსო დოჭვირები,** მცხოვრებნი თბილისში, ბოჭორიშვილის შესახვევი № 10.

აკაკი ნესტორის ძე კალანდაძეს,

დაბადებულს 1907 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში, ეძებენ დები — **ოლღა** და **ლოლა,** ძმები — **შალვა** და **სანდრო კალანდაძეები,** შვილი — **ლუბა,** სიძე — **გივი ჯაყელი,** შვილიშვილები — **მალხაზ, ზაზა, იამზე ჯაყელები,** მცხოვრებნი თბილისში გურამიშვილის ქუჩა № 17, ბინა 29.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.